ჩაი-სამშობლოს სიმდიდრე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩაიეებო! ახალი ძალით გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება სარეკორდო მოსავლისათვის!

პროლეტარეებო-ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 შაბათი 5 აპრილი № 80 (16206) ფასი 2 კაპ. 1975

ი დ ი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი ცნობა, რომ საქართველოს სსრ მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს რეკორდული მოსავალი და საახალწლოდ მიაყენეს 302 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეთა წარმატება ადასტურებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა ძალების დარაზმვისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალ მიღწევებს ჩაისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ლ. ი. ბრეჟნევი.

(მიწალმებიდან. 1974 წლის 16 სექტემბერი).

სახელოვან მეჩაიეთა

ოქროს ხელები

სწორედ ამ ოქროს ხელებმა შარშან საქართველოს ლაჟვარდოვან პლანტაციებში მოკრიფეს 312.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 292.000 ტონისა და ღირსეულად დაიმსახურეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი მისალმება.

დაგელოცოთ გამრჯე მარჯვენა, ხელხვავიანო მეჩაიეებო!

დიდ თქვენსა თავდადებულმა შრომამ წლეულსაც ასახელოს ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო!

ეს სურათი გადაღებულია გუშინწინ. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პლანტაციაში მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების უკანასკნელი ჰექტარების მანქანებით გასხვლა. წინა პლანზე ხედავთ ინჟინერ-მექანიზატორს გ. მელუას (მარჯვნივ) და აგრონომ-ყოფილების მმართველს შ. მგელაძეს.

ფოტო. ბინზბურგის ფოტო.

დღეს ქუთაისში გაიმართება მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

ახალი ფლუდებისათვის, ჩვენო გმირო მეჩაიეებო!

ჯილდოს გადაცემა ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). გუშინ, 4 აპრილს ოპერის თეატრის ქუთაისის ფილიალის შენობაში გაიმართა ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა 1974 წლის მაჩვენებლების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ქალაქ ქუთაისისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა.

სიტყვას იღებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე. იგი დამსწრეთ ტაშის გრიალში პარტიისა და მთავრობის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ს. ხაბეიშვილს და ქუთაისელ მშრომელებს გულითადად ულოცავს დიდ წარმატებებს, ამასთან ყურადღებას ამახვილებს იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია რესპუბლიკისა და ქალაქის მშრომელთა წინაშე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ქუთაისის მშრომელთა წვლილის ესოდენ დიდი დაფასებისათვის და აღუთქვა მათ, რომ ქალაქის კომუნისტები, მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწიონ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს და ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXV ყრილობას.

კრებამ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

კრებამ მიიღო მიმართვა ქალაქ ქუთაისის მშრომელებისადმი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს დამატებით 20 მილიონი მანეთის სარეწველო პროდუქციის გამოშვებისათვის.

კრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება.

დამამთავრებელი წლის ქალენდარი

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!

120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება—ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ასეთია საქართველოს კომუნისტების, მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო ამოცანა, ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსების საქმე, ჩვენი პატრიოტული მოვალეობა!

ხუთწლედის დამლევამდე

270 დღე დარჩა

ყოველი დღე და საათი—კონტროლზე!

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა გ. კარლის

4 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იტალიის ბანკის მმართველი გ. კარლი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა ორგანიზაციებთან საქმიანი მოლაპარაკებისათვის. გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მხარეები შეეხნენ სსრ კავშირისა და იტალიის საგალუტო-ეკონომიური ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხებს.

ქვემყანაში სამოგზაუროდ

4 აპრილს მოსკოვიდან ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა საბჭოთა მთავრობის მიწვევით სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. აუგუსტსონი. იგი ეწვევა ტაშკენტს, სამარყანდასა და ლენინგრადს.

ბუკოვოს აეროპორტში ე. აუგუსტსონი გაეცალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკ. ინფ.).

გულითადი მადლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ნ. კოსიგინისადმი საპასუხო დეპეშაში უნგრეთის ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს გულითადი მილოცვისა და მეგობრული სურვილებისათვის ეროვნული დღესასწაულის — უნგრეთის განთავისუფლების 30-ე წლისთავის გამო.

ბრძოლებში შობილი ინტერნაციონალური მეგობრობა, ყოველმხრივი საყოფიერი თანამშრომლობა, ნათქვამია დეპეშაში, „ავალებს" უნგრელ ხალხს განმთავისუფლებელ საბჭოთა კავშირთან, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანასთან. უნგრელი ხალხი გამსჭვალულია დიდი პატივისცემის, მადლიერებისა და სიყვარულის გულწრფელი გრძნობით საბჭოთა კავშირისადმი, „სოციალიზმის შენებლობაში ჩვენი საიმედო დასაყრდენისადმი, დიდი უანგარო მეგობრობისადმი, რომელიც მუდამ მზად არის დაგვეხმაროს, მთელი საბჭოთა ხალხისა და მისი ლენინური კომუნისტური პარტიისადმი. ჩვენი ერთიანობა, ძმური მეგობრობა მტკიცე და ურღვევია. დარწმუნებული ვართ, ხახს უსვამენ უხვგრეთის ხელმძღვანელები, რომ ჩვენი ქვეყნების, ხალხების მშვიდრო კავშირი და თანამშრომლობა კვლავაც გაღრმავდება და განმტკიცდება. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მხარდამხარ იქნებიან, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის, პროგრესისა და მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ერთობლივ საქმიანობასა და ბრძოლაში. (საკ. ინფ.).

19 აპრილს კომუნისტური შეგვათმოგვია

ერთსულოვანი გადაწყვეტილება

ქუთაისი. (საკ. კორ.). 1.600 მშრომელი მიიღებს მონაწილეობას კომუნისტურ შაბათობაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 105 წლისთავს ეძღვნება — განაცხადა ჩვენთან საუბარში ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ხვიჩიამ — ამ დღეს მანქანათმშენებლები აწარმოებენ 35 ათასი მანეთის პროდუქციას, ხუთწლედის ფონდში ჩარიცხავენ ორი ათას მანეთს, შეაგროვებენ 20 ტონა ლითონის ჯართს, კეთილმოაწყობენ ქარხნის ტერიტორიას.

მეცხოველთა დამკვრელური დღე

თელავი. (საკ. კორ.). წლის დასაწყისიდანვე შრომის მაღალი ტემპი აიღეს წინდების ფაბრიკის (დირექტორი ლ. სკანავე) მშრომელებმა. მათ პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულეს და მომხმარებელს მიაწოდეს ათასობით მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

ფაბრიკის მშრომელთა კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსკოველთა მოწოდებას და გადაწყვიტა 19 აპრილს მაღალ დონეზე ჩაატაროს კომუნისტური შაბათობა. ფეიქრების პირობაა შაბათობის დღეს გამოუშვან 18 ათასი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასი 900 მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩარიცხონ.

შინმოუსვლელის მაგივრად

გმირთა უკვდავსაყოფად

თბილისი. რესპუბლიკის საოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 37 მოქრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივმა, რომლის უფროსია დ. მბეიძე, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გადწყვიტა თავის ბრიგადებში ჩარიცხოს ომთათვის ახლობელი ადამიანები, სამამული ომში დაღუპული გმირები. მუშებმა ვალდებულება იკისრეს ბრიგადებში ჩარიცხულ მებრძოლთა ცვლის ნორმები თვითონ შეასრულონ.

ორმა ბრიგადამ — ულიანოვკის სკოლისა და გარდაბნის რაიონის ტექნიკური მომსახურების საადგილის მშენებლებმა გაერთიანებულ კრებაზე დაადგინეს, რომ ბრიგადების წევრთა სიაში შეიტანონ საბჭოთა კავშირის გმირები პ. სიხნო და ფ. გამცემლიძე. გმირების სახელზე გამოწერილი თანხა კი ხუთწლედის ფონდში ჩარიცხონ.

ასე უკვდავყოფენ საბჭოთა ადამიანები სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს.

დ. რამაზაშვილი.

დაიწყო დიდი ლაშქრობა ქართული ჩაისათვის

სახელოვანი წლისთავი

საზეიმო სხდომა მოსკოვში

5 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი. მათთან ერთად არიან უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარის, საზოგადოების თავმჯდომარის ანტალ აპრის მეთაურობით, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ლასლო ორბანის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დიულა რაკაი.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა პ. ნ. დუბოსოვემ. მან ხაზი გაუსვა, რომ უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბჭოთა მეომრების მამაცობა და სიმტკიცე, უნგრელი პატრიოტების აქტიური მოქმედება მძლავრი სტიმული გახდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის განვითარებაში. 1945 წლის აპრილში უნგრეთის ელვებზე მტრის განადგურება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების საქმეში.

თავის გამოსვლაში ანტალ აპრომ ხაზი გაუსვა, რომ ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ უნგრელი ხალხისათვის ახალი ისტორიული ეპოქა დაიწყო. ჩვენი ხალხი, თქვა ორატორმა, არასოდეს არ დავიწყებს იმ უდიდეს მსხვერპლს, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაიღო ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. არასოდეს არ დავივიწყებთ იმათ, ვინც სიცოცხლე გასწირა ჩვენი თავისუფლებისათვის.

საბჭოთა მეომრებმა ჩვენ მარტო თავისუფლება როდი მოგვტანეს. საბჭოთა კავშირისაგან ჩვენ მივიღეთ მრავალმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური დახმარება ჩვენი სუვერენული სახელმწიფოს შექმნაში. ამიტომ 1945 წლის 4 აპრილი ჩვენთვის არის არა მარტო გამარჯვების დღესასწაული, არამედ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღესასწაულიც. უნგრელმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე პირველად შეიძინა ისეთი ერთგული მეგობარი, მოკავშირე, როგორიც საბჭოთა კავშირია.

ანტალ აპრომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელით უსურვა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებას შემდგომი დიდი წარმატებანი მის საქმიანობაში. ჩვენ მივესალმებით, თქვა მან, დიდ საბჭოთა ხალხს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, საბჭოთა კავშირის მოძმე კომუნისტურ პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც სათავეში უდგას უნგრელი ხალხის დიდი მეგობარი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ანტალ აპრომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებს გადასცა ორდენი „მშვიდობა და მეგობრობა“. (საკდესი).

ჩაის მრეწველობის ბურჯი

ქალაქი — სოფელს

თერთმეტი ჩაის ფაბრიკის სრული აღჭურვილობა ვადამდე დამთავრდება, — ასეთი ვალდებულება იკისრეს ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა.

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, სადაც ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას ამზადებენ. ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე ქარხნის კონსტრუქტორებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მანქანა-დანადგარების საექსპლოატაციო ტექნიკით აღჭურვის საკითხი.

პარტიამ და მთავრობამ ბათუმელ მანქანათმშენებლებს საბრძოლო ამოცანად დაუსახეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საქართველოს ჩაის მრეწველობასათვის დაემზადებინათ თერთმეტი ჩაის ფაბრიკის აღჭურვილობა. სულ სამუშაოთა მოცულობა შეადგენდა 2 მილიონ 26 ათას მანეთს.

მანქანათმშენებლებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს, რომ დავალება წლის პირველ ნახევარში შეესრულებინათ იმ ვარაუდით, რომ ფაბრიკები საექსპლოატაციოდ გადაცემულიყო უშუალოდ ჩაის კრეფის სეზონისათვის.

ამ დიდი ამოცანის განხორციელებაში პარტიის აპარის საოლქო კომიტეტმა და ბათუმის საქალაქო კომიტეტმა ქარხნის კოლექტივს აღუთქვეს ყოველმხრივი დახმარება. გადასაჭრელი ამოცანის სირთულეს კოლექტივი ოდნავადაც არ შეუშინებია, პირიქით, საერთო კრებაზე ქარხნის დირექტორმა გ. ცინცაძემ, პარტიული ბიუროს მდივანმა შ. კაკაძემ, ცნობილმა ხარატებმა ვ. დოლიძემ, შ. გალოგრეთმ, მემონტაჟეებმა ა. ალექსანდრიდმა, ბრიგადირმა ვ. კიკოტმა და სხვებმა ვალდებულებას პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეფასება მისცეს და კიდევ უფრო რთული ვალდებულება იკისრეს, კერძოდ, წინადადება წამოაყენეს სხვა დაკვეთებთან შედარებით უპირატესობა მიეცათ ჩაის ფაბრიკების აღჭურვილობისათვის და თერთმეტივე ფაბრიკის აღჭურვილობის დამზადება არათუ კრეფის სეზონისათვის, არამედ სეზონის დადგომამდე დაემთავრებინათ.

ეს იყო ახალი გაბედული წინადადება, რომლის განხორციელებისათვის მთელი კოლექტივი დაირაზმა. შედგა ყოველდღიური, საათობრივი გრაფიკები, თვითეული მეშა ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ყოველი წუთი, აუცილებლად შეესრულებინა დაკისრებული ამოცანა.

ვალდებულების წარმატებით შესასრულებლად და შრომითი პროცესების საკოორდინაციოდ ქარხანაში შეიქმნა შტაბი, რომელშიც პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების წარმომადგენლებიც შეიდნენ. ამ პატრიოტულ საქმეში ორგანიზაციული და სხვა საკითხების მოსაგვარებლად „საქჩაიდან“ მოაბარეს ინჟინერ-მექანიკოსი კ. დოლიძე.

საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი: ბათუმელ მანქანათმშენებელთა ახალი თაობანობის ამბავი მალე მთელს ქალაქში გახდა ცნობილი და ქალაქის საწარმოებმა — საყოფაცხოვრებო, მანქანათსამშენებლო, საჩამომსხმელო, გემთსამშენებლო, ელექტროხელსაწყოს ქარხნებმა მანქანათმშენებლებს დახმარება შესთავაზეს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მანქანების მშენებლებმა იკისრეს ჩაის საფრნეხი ღუმელისათვის დამზადებინათ 60 ცალი გორგოლაჭი და ღერძი, გემთმშენებლებმა — ჩაის დამქოცმაცეებელი მანქანისათვის — 280 ცალი ღერძი, საჩამომსხმელო ქარხანამ — ჩაის საჭრელი მანქანებისათვის დოლები და ა. შ. საწარმოებში ყველა დეტალი ვადამდე მზადდებოდა.

თავადებულმა კოლექტივმა შრომამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. უკან დარჩა დაძაბული, მღელვარე დღეები. ახლა, როცა შეჯამდა სამი თვის შედეგები, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია. წლიური გეგმა ითვალისწინებდა 2 მილიონ 26 ათას მანეთის აღჭურვილობის დამზადებას და მონტაჟს. აქედან 1 აპრილისათვის, ე. ი. სამი თვიანი უკვე შესრულებული იყო 1.800 ათასი მანეთის სამუშაო.

— დარჩენილი 300 ათასი მანეთის პროდუქციას 20 აპრილამდე გამოვუშვებთ და თერთმეტივე ფაბრიკა ჩაის კრეფის სეზონისათვის მზად იქნება, — გვითხრა საწარმოს დირექტორმა გ. ცინცაძემ.

რომელ ფაბრიკებს გაეწიათ დახმარება? — ოჩამჩირის № 2, გალის № 2, მახარაძის რაიონის, ლიხაურის, ზუგდიდის რაიონის ზედაეწრის, დიდი ჯყონის, ხელვაჩაურის, ბათუმის, ქობულეთისა და სხვა ფაბრიკებს. საყურადღებო ის არის, რომ ჩაის 10 ფაბრიკაში ჩაის ღუმელებს ბათუმელი მანქანათმშენებლები ამონტაჟებენ. თავადებული შრომით უკვე სახელი გაითქვეს ა. ალექსანდრიდის, ვ. კიკოტის, ა. ფატლაძისა და ი. ადილოვის ბრიგადებმა.

ქარხნის კონსტრუქტორებმა, რომელთაც საწარმოს დირექტორი უდგას სათავეში, მრავალი ტექნოლოგიური სიახლე დანერგეს, მათ შორის ტოლრის საამქროში შეიმუშავეს ახალი ნაკადური ხაზი, სადაც ყველაფერი ავტომატიზებულია, გაადვილებულ ჩაის პროგრამული დამუშავების პროცესი, ბევრი დეტალი გამოჩარხვის ნაცვლად გადაიყარნეს სარამომსხმელო ყალიბზე. ამით დეტალები ფორო მდგრადი და ეფექტურია; ზოგიერთი დეტალი შედუღების ნაცვლად გადაიყვანეს ოთლიოთის სამოლზე, რაც ახალი პროგრესული მიმართულია. მრავალი დეტალი უნიფიცირებულია, ხოლო ღუმელები სექციურად მზადდება. ამ სიახლეებმა გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გამოთავისუფლდა მუშახელი, დიდია ეკონომიური ეფექტი.

ამ დიდ ოვალურ ბათომატებით გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წილი შეიტანეს მანქანათსამშენებლო ქარხნის ქედის ფილიალის და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 4 ტრესტის (ამჟამინდელი გ. ემიქიძე) კოლექტივებმა. ამ უკანასკნელმა დროულად უზრუნველყო მთელი აღჭურვილობის (ოთხასამდე ავტომობილი) გადაზიდვა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებას ბათუმის საწარმოები პირველნი გამოეხმაურნენ. მათ იკისრეს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია. ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა თავის მხრივ იკისრეს გეგმის გადამეტებით წლიურს 440 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.

როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულება? პასუხი ერთი პირნათლად! მათ პირველი კვარტალის გეგმა ოთხი დღით ადრე გაანდიდეს, მარტში რეალიზაციის გეგმას გადააჭარბეს 100 ათასი მანეთით; შრომის სწორ ორგანიზაცია, ალტერნატიული ტემპი და საწარმოს ჯანსაღი შრომითრიტმი იმის გარანტიაა, რომ მანქანათმშენებლები შემდგომ კვარტალში უფრო დიდ შრომითს წარმატებებს ელოდებიან.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო 15 რელური და 30 ჩაის ტრანსპორტიორი აწყობა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის იმ ბრიგადამ, რომელსაც ო. თოდრაძე ხელმძღვანელობს.

ზემოთ — ამ ბრიგადის მოწინავე ამწყობი ზეინკლები ვ. გარბანლიძე და ხ. კუსია მუშაობის დროს; მოწყობილობის დამზადებაში თავი გამოიჩინა ამ ბრიგადამაც, რომლის წევრებსაც მარცხნივ ხედავთ: ამწყობი ზეინკალი ნ. ბოლქვაძე, ბრიგადირი ა. ადინოვი, ამწყობი ზეინკლები ა. მულჩენკო, ა. შვანკირაძე და ო. კალაიჯევი.

ნ. ანსლტასიმვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოძმე უნგრელ ხალხთან ერთად

საზეიმო სხდომა თბილისში

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მოძმე უნგრელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ იუბილეს — ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავს.

უნგრელი ხალხის ცხოვრების ამ ისტორიულ მოვლენას მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა საერთო საქალაქო კრება, რომელიც 4 აპრილს გაიმართა.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიელი, საბჭოთა მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ფაშისტებისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილენი. აქვეა თბილისში ჩამოსული უნგრელ ტურისტთა ჯგუფი, აქ მოწყობილი დიდი ფოტოგამოფენა ისახავს ამ კარდინალურ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს, რომლებიც უნგრეთში მოხდა სახალხო ხელისუფლების წლებში.

პრეზიდიუმში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთა ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კოკავაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის რესპუბლიკური განყოფილების აქტივისტები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. გაბუნიამ, რომელმაც ქალაქის მშრომელთა სახელით გულითადად მიულოცა უნგრელ მეგობრებს ეროვნული დღესასწაული.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ. მან გააშუქა სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული ის თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებსაც უნგრელმა ხალხმა მიაღწია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით.

ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილეებმა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიქოვანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. მეგრელიძემ, 144-ე საშუალო სკოლის დირექტორმა მ. ჩოჩუამ, აგრეთვე უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დ. გაგნიძემ, მ. სალაძემ, ი. გოგიაშვილმა უნგრელ ხალხს დიდი წარმატებანი უსურვეს იმ დიდებული გეგმების შესრულებაში, რომლებიც დასახა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ამას წინათ გამართულმა XI ყრილობამ.

გულთბილად შეხვდნენ უნგრელი ტურისტის, ბუდაპეშტელი პედაგოგის იეკფნე ვალოს გამოსვლას.

კრებამ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ბუდაპეშტში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მოსკოვში. (საქინფორმი).

ჯილდოები — ვეტერანებს

ომის ვეტერანთა მიღება საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

დიდი სამამულო ომის ვეტერანები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. მათ მარტო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით 1974 წელს მოაწყვეს 12 ათასზე მეტი ლექცია-მოხსენება. დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ბრიგადები იგზავნება რესპუბლიკის შორეულ მაღალმთიან რაიონებში. ეწყობა თეორიული კონფერენციები და სემინარები, გენერლების, საბჭოთა კავშირის გმირებისა და თადარიგის და ვადამდგარი ოფიცრების შეხვედრები სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სასწავლებლების ახალგაზრდობასთან. დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა არმიის ვეტერანები წვევამდელთა და საბჭოთა არმიაში გასაწვევთა შორის. ისინი მონაწილეობენ ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე ახალგაზრდობის ლაშქრობებში.

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30 წლისთავის წინ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა არმიის სახელგანოქმული ვეტერანების — კომკავშირის აღზრდილების მიღება. შეკრებილთა სიტყვით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ. მან აღნიშნა ის დიდი, ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა არმიის სახელმოხვეული გენერლები და ოფიცრები ეწევიან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში.

ახალგაზრდებს შორის სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაში განსაკუთრებით თავგადაჩენილ ომის ვეტერანებს ამხ. ე. შარტავამ გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპასტიო სიგელები. დაჯილდოებულთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი, გადამდგარი გენერალ-მაიორები პ. აბრამიძე, ნ. თავართქილაძე, გ. ჯინჭარაძე, მ. ნაზაროვი, გადამდგარი კონტრადმირალი მ. ჯინჭარაძე, გადამდგარი პოლკოვნიკები მ. ხუციკლავა, უ. თავაძე, ე. ქანთარია, გ. კანარაძე, შ. პაპიძე, ა. ბერიძე, ს. აბულაძე, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი შ. ფრანგიშვილი, გადამდგარი მაიორები კ. ხოჭოლავა, გ. ბესელაშვილი, მ. მუჩკუდიანი, გადამდგარი კაპიტნები ე. ჩხიკვიშვილი, გ. ჯაში, ე. შურღაია და სხვები.

მიღებაზე დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი, გადამდგარი მედიცინის სამსახურის კაპიტანი გ. ჯაში, გადამდგარი პოლკოვნიკი გ. კანარაძე. გადამდგარი ავიაციის გენერალ-მაიორი მ. ნაზაროვი, რომელებმაც მადლობა გადაუხადეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში მათი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

მიღებაზე იყვნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები. (საქინფორმი).

დიდი სახალხო დღესასწაული

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საკდესი). ფაშისტ დამპყრობთაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავის გამო აქ გაიმართა უნგრეთის დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივან ი. კადარი და უნგრეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სრულიად უნგრეთის საბჭოს სამამულო სახალხო ფრონტის პრეზიდიუმის გენერალურმა მდივანმა ი. შარლოშმა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ლოშონციმ.

არასოდეს არ დაგავიწყდება, თქვა მომხსენებელმა, რომ უნგრელ ხალხს თავისუფლება მოუტანა ლენინის ქვეყნის ძლევამოსილმა არმიამ, რომ ჩვენი განმათავისუფლებელი საბჭოთა კავშირი.

პ. ლოშონციმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიური მხარდაჭერა გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქვეყანაში პროგრესის ძალების გამარჯვებაში სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის დროს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სოციალისტურ მშენებლობაში უნგრელი ხალხის დიდ მიღწევებზე.

საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა, რომელმაც უნგრელ კომუნისტებს, მთელ მოძმე უნგრელ ხალხს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე სალამი და მისი გულითადი ეფერვიან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში.

ახალგაზრდებს შორის სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაში განსაკუთრებით თავგადაჩენილ ომის ვეტერანებს ამხ. ჟ. შარტავამ გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპასტიო სიგელები. დაჯილდოებულთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი, გადამდგარი გენერალ-მაიორები პ. აბრამიძე, ნ. თავართქილაძე, გ. ჯინჭარაძე, მ. ნაზაროვი, გადამდგარი კონტრადმირალი მ. ჯინჭარაძე, გადამდგარი პოლკოვნიკები მ. ხუციკლავა, უ. თავაძე, ე. ქანთარია, გ. კანარაძე, შ. პაპიძე, ა. ბერიძე, ს. აბულაძე, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი შ. ფრანგიშვილი, გადამდგარი მაიორები კ. ხოჭოლავა, გ. ბესელაშვილი, მ. მუჩკუდიანი, გადამდგარი კაპიტნები ე. ჩხიკვიშვილი, გ. ჯაში, ე. შურღაია და სხვები.

მიღებაზე დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი, გადამდგარი მედიცინის სამსახურის კაპიტანი გ. ჯაში, გადამდგარი პოლკოვნიკი გ. კანარაძე. გადამდგარი ავიაციის გენერალ-მაიორი მ. ნაზაროვი, რომელებმაც მადლობა გადაუხადეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში მათი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

მიღებაზე იყვნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები. (საქინფორმი).

შეხვედრა ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ენე ფოკმა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობდნენ უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, საუბარმა გულითად, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა.

მონოპოლიების წინააღმდეგ

ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). პორტუგალიის ახალ კონსტიტუციაში გამოხატულება უნდა პოვოს ახლანდელი ვითარების ძირითადმა ფაქტორმა — ხალხისა და შეიარაღებული ძალების მოძრაობის კავშირმა, რომელიც დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელ ძალას წამოადგენს. ამას ხაზი გაუსვა გაზეთ „უნსერე ციტიესათვის“ მიცემულ ინტერვიუში პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა.

შემდეგ ა. კუნიალმა თქვა, რომ პორტუგალიელი კომუნისტები იბრძვიან სოციალისტებთან მოქმედების ერთიანობისათვის, და მიაჩნიათ, რომ ამ ორი პარტიის თანამშრომლობა ფრიად პოზიტიური ფაქტორი იქნება დემოკრატიული უფლებების კონსოლიდაციისა და დემოკრატიული რეფორმის მშენებლობისათვის, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეული რეფორმების განხორციელებისათვის.

დაარღვიეს საჰაერო სივრცე

ათენი, 4 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ეუშინ თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა დაარღვიეს საბერძნეთის საჰაერო სივრცე ხიოსისა და ლესბოსის კუნძულების რაიონში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბერძნეთის მთავრობა უურადღებით აღევნებს თვალს თურქეთის მოქმედებას და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

ანკარა, 4 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთის თავდაცვის მინისტრს შეერ წამოუყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის საძრავრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს საბერძნეთის საჰაერო სივრცე, თურქეთის სგაგრეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ წრეებში აღნიშნეს, რომ „თურქეთის თვითმფრინავები არ არღვევენ არავის საჰაერო სივრცეს, არამედ დაფრინავენ საერთაშორისო საჰაერო სივრცეში“.

საკდესი
4 აპრილი

ტელეტაიპის ლენტიდან...

ნიუ-იორკი. 16 მარტს პლანეტა მერკურისთან „მარინერ-10“ კოსმოსური სადგურის მესამე მიახლოებას, რომლის დროს სადგურმა დაახლოებით 200 კილომეტრზე ჩაუარა პლანეტას, არ მოუცია მოსალოდნელი შედეგები. როგორც განაცხადა არიზონის უნივერსიტეტის პროფესორმა რ. სტრომმა, რომელიც „მარინერიდან“ მიღებულ ფოტოსურათებს ამოწმებს, სადგურის შიერ გადაღებული 500 ფოტოსურათიდან სამი მეოთხედი გაფუჭებული აღმოჩნდა. ამის მიზეზია უწესივრობა კანბელრის (ავსტრალია) სადგურის, რომელსაც „მარინერთან“.

ტოკიო. სახელმწიფო კორპორაციათა მუშაკების ფედერაციაში შემავალმა ოცდასამმა პროფკავშირმა გაფიცვების სირიგა მოაწყო. მთელ იაპონიაში ამ გაფიცვების მონაწილეებმა, რომელთაგან თვითეული რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მოითხოვეს ხელფასის მომატება.

ფედერაციის წევრმა რამდენიმე ასეულმა მშრომელმა მჭიდომარე გაფიცვა მოაწყო ტოკიოში სამინისტროს შენობის წინ თავიანთი უფლებების დაცვის მოთხოვნების მხარდასაჭერად.

მონტევიდეო. მიმდინარე წელს ურუგვაიში მეიქვსედ გამოცხადდა ეროვნული ფულადი ერთეულის — პესოს დევალვაცია — ამჯერად სამი პროცენტით. უწინდელი დევალვაციის შემდეგ მხოლოდ 11 დღე გავიდა. ახალი კურსი შეადგენს 2.104 პესოს დოლარში.

ბერნი. ფედერალური სტატისტიკური ბიუროს ცნობით, შვეიცარიის კონფედერაციის დედაქალაქის ბერნის მცხოვრებთა რიცხვი 1974 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 153.268-ს. ეს 1.465-ით ნაკლებია, ვიდრე 1973 წელს. ქალაქის მცხოვრებთა 14,9 პროცენტი უცხოელებია.

ჭეშმარიტი ფაქტი

ფართო მხარდაჭერა

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეანიარაღების მოწოდებულ კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის მუშაობა ცხადყოფს, რომ ასეთი ფორუმის მოწვევის წინადადებას, რომელიც თავდაპირველად საბჭოთა კავშირმა წაუყენა, ფართოდ უჭერენ მხარს. ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ, ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ მსოფლიო კონფერენციის მოწყობა გამოხატავს ყველა ხალხის ინტერესებს, ხელს შეუწყობს განიარაღების საქმეს, გააღრმავებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

უნგრეთის დელეგატმა ი. ჰოდაიმ, ბულგარეთის დელეგატმა გ. გროზევამ, პოლონეთის დელეგატმა ა. ჩარკოვსკიმ და მონგოლეთის დელეგატმა ც. პუნსაგნორეთმა მსოფლიო კონფერენციის მოწვევას უწოდეს დროული და დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება. ამასთან, აღნიშნეს მათ, ხალხები ყოველნაირად ცდილობენ გააფართოონ და გაამტკიცონ დაძაბულობის შენელების პროცესი მსოფლიოს ყველა რაიონში. არის ყველა პირობა, რომ ეს პროცესი კონკრეტულად გაღრმავდეს განიარაღების დარგშიც.

ფილიპინების დელეგატის ნ. ვალდერამას აზრით, სასწრაფოდ უნდა მოეწყოს მსოფლიო კონფერენცია, რომელმაც არსებითი წვლილი უნდა შეიტანოს იმ საქმეში, რომ ხალხებმა იცხოვრონ გარანტირებული მშვიდობისა და უშიშროების პირობებში.

გორკი აკრძალულია

სტამბოლი, 4 აპრილი. (საკდესი). აჭარის ხელოვნების თეატრის მსახიობთა და რეჟისორთა ჯგუფი სასამართლო პასუხისგებაშია მიცემული იმის გამო, რომ დადგა პიესა „დედა“ ა. მ. გორკის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

მათ ბრალად ედებათ „კომუნისტური პროპაგანდა“ და „შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფა“.

ადგილობრივი გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ პოლიციამ ამოიღო სტამბიდან დასაბეჭდად გამზადებული ალბომი „ოქტომბრის რევოლუცია ფოტოსურათებში“.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

თხიეუს რეჟიმი სულს ღაფავს

● საიგონის ჯარები ტოვებენ ახალ ქალაქებს
**● ამერიკის თავდაცვის მინისტრის ჯ. შლესინჯერის განცხადება ● პენტაგონი იარაღს აწვ

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ყოველი ჰექტარი — უხვმოსავლიანი!

რეკორდული მოსავალი მეჩაიეთა გმირობის საქმეა

საქართველოს მეჩაიეებმა ჩინებული ტრადიცია დამკვიდრეს: ყოველწლიურად დამკვრელური შრომით გადაჭარბებით შეასრულონ არა მარტო გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულებაც. ეს მკაფიოდ ჩანს შეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მოპოვებული წარმატებებიდან. მაგრამ ყველაზე დიდი გაშარჯვება მეჩაიეებმა 1974 წელს იზეიმეს. მათ სამშობლოს მისცეს 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 292 ათასი ტონისა.

სახელოვან მეჩაიეებს, საქართველოს პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს ეს გამარჯვება გულმხურვალედ მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მაშინ რესპუბლიკის მეჩაიეებმა პარტიას და მთავრობას აღუთქვეს, რომ უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებენ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, მაიღებენ რეკორდულ მოსავალს და მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებენ ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხს.

წლეულს ჩვენმა გმირმა მეჩაიეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს და ეკვი არ არის, რომ სიტყვას საქმედ აქცევენ, ახალი, დიდი წარმატებებით გაახარებენ საყვარელ სამშობლოს.

დაიწყო დიდი ჩაისათვის ლაშქრობა.

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

სურათებზე: მეჩაიე რ. ოკუჯავა (მარცხნივ) და მექანიზატორი გ. სახოკია.

● მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით ● რენტაბელობის დონემ 119,4 პროცენტს მიაღწია ● შარშან მექანიზებულად მოიკრიფა 2.709,7 ტონა ჩაი ● სიახლე ფართოდ ინერგება წარმოებაში.

წინსვლის რეზერვები

ამას წინათ გამართულმა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ საწარმოების, ორგანიზაციების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს მოუწოდა მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ახალი საწარმოო სიმძლავრეების უსწრაფესად ამოქმედებასა და არსებული სიძლავრეების უკეთ გამოყენებას, მთელი რეზერვების ამოქმედებას, რათა გაადიდონ პროდუქციის გამოშვება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი, ამასთან შეამცირონ მატერიალური და შრომითი დანახარჯები.

ეს ამოცანები იდგა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელ წელს და, რა თქმა უნდა, უფრო დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, დაძაბული გეგმები და ვალდებულებებია დასახული ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, თუ ვინ როგორ შრომობდა შარშან, როგორი მაჩვენებლები ჰქონდა, ამის ნათელი დადასტურებაა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება. გამარჯვებულთა რიგებში დგას წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

რით, როგორ და რა ღონისძიებათა განხორციელებით მიაღწია მეურნეობის კოლექტივმა შარშან ქმმარიტად დიდ წარმატებებს, რამაც საქმეუყნოდ გაუთქვა სახელი და დამსახურებულად მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია? სწორედ ამის შესახებ მოგითხრობთ ამ წერილში.

ამ მეურნეობას წლების განძილზე კარგი მაჩვენებლები ჰქონდა. მაგრამ უკანასკნელ წლებმა უფრო საამაყო და სასახარული შედეგებია. ამას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის ცხოვრებაში მოახდენმა ახლებმა ცვლილებებმა პარტიულ, სამეურნეო მუშაობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა.

თუ მერვე ხუთწლედის ბოლოსათვის ხელის შრომით მოკრიფა 1.883 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო ჩაის საკრეფი მანქანებით — 1.716 ტონა, მეცხრე ხუთწლედის ყოველ წელს ეს მაჩვენებელი აღმავლობის გზით მიდიოდა. ამ ხუთწლედის პირველ წელს ხელით მოკრეფილ იქნა 1.587 ტონა, მექანიზებულად — 1.937 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობამ 5.650 კილოგრამს მიაღწია. 1973 წელს გეგმიდან გათვალისწინებული 3.320 ტონის ნაცვლად მოკრიფა 3.710 ტონა ჩაის ფოთოლი. აქედან მექანიზებული წესით მოკრეფილ იქნა 2.199 ტონა, საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 5.952 კილოგრამი შეადგინა.

სწორედ ასეთმა წარმატებებმა მოუპოვა მეურნეობის კოლექტივს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორეჯერ გამარჯვება. დიდი ყურადღება ექცეოდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. მათი დევიზი იყო და არის: **„მეტი და უკეთესი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით“!** მეურნეობის კოლექტივის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებას უზრუნველყოფს თავდადებული, გულიერული, მხოლოდ დამკვრელური შრომა და ამ საფუძველზე მაღალ დონეზე აყვანილი სოციალისტური შეჯიბრება.

მეურნეობამ უკანასკნელ წლებში შეძლო თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, რენტაბელობის დონის ამაღლება. თუ ამ საქმეში 1971 წელს სახარბიელო არაფერი იყო, 1972 წელს ცენტნერი ჩაის ნედლეულის წარმოებაზე დაიხარჯა 43 მანეთი და 44 კაპიკი ნაცვლად 43 მანეთისა და 57 კაპიკისა, 1973 წელს — 39 მანეთი და 16 კაპიკი ნაცვლად 42 მანეთისა და 33 კაპიკისა. შარშან ცენტნერი ჩაის ნედლეულის წარმოების თვითღირებულება 83 კაპიკით შემცირდა.

ჩაის საკრეფ მანქანებზე მომუშავე მექანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველწაირად ამცირებენ ჩაის ფოთლის წარმოების თვითღირებულებას. 1973 წელს თვითღირებულება შეამცირეს 3 მანეთზე მეტით, ხოლო შარშან 2 მანეთით და 10 კაპიკით. წარმატებათა კვალობაზე იზრდებოდა ფულადი შემოსავალი, რენტაბელობის დონე. მარტო შარშან მეურნეობის შემოსავალმა 4.627.157 მანეთს მიაღწია ნაცვლად 3.369.043 მანეთისა, მოგებამ კი ასეულ ათასობით მანეთს გადაჭარბა. ამის კვალობაზე 1974 წელს მუშა-მოსამსახურეთა წახალისებისათვის გაიცა 242 ათას მანეთზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობაში მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში იხრდებოდა რეხტაბელობის დონე. 1971 წელს მან შეადგინა 78,9 პროცენტი, 1972 წელს — 88,1, 1973 წელს — 102,3, ხოლო 1974 წელს — 119,4 პროცენტი. მეურნეობა 1973 წლიდან გადასულია პრემირების ახალ სისტემაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ პრემია-დანამატი არ უნდა აღემატებოდეს დარიცხული ხელფასის ან პროცენტს. ესე იგი, ყოველ მიღებულ ერთ მანეთზე — ერთ მახეთს. მაგალითად, შარშან მერვე ბრიგადამ, რომელსაც მ. ნაკუყანია ხელმძღვანელობს, მუშებმა ხელფასის სახით მიიღეს 36.928 მანეთი და დამატებითი ხელფასი და პრემია — 36.928 მანეთი.

პირველი კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადის (ბრიგადირი გ. ქობალია) მუშაობის გამოცდილება ყველასაფეს მასაბამია, ბრიგადამ ნედლეულის რეალიზაციით მიიღო 314.454 მანეთი ნაცვლად 275.669 მანეთისა. ამ ბრიგადაში ხელფასმა წლის განმავლობაში 23.893 მანეთი შეადგინა, დამატებითი ხელფასი გაიცა 14.146 მანეთი, ხოლო პრემია დარიცხა 12.400 მანეთი. ასეთივე კარგი მაჩვენებელი აქვს მესამე კომპლექსურ მექანიზებულ ბრიგადას (ბრიგადირი რ. ხარჩილავა). მეურნეობაში საშუალოდ წლიური ხელფასი ერთ მუშაზე 1971 წელს 1.821 მანეთს უდრიდა, 1974 წელს კი 2.224 მანეთამდე გაიზარდა.

მეურნეობის წარმატებები ძირითადად განპირობა მექანიზაციის მაღალმა დონემ. ამ მეურნეობის 4 კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადა, 48 კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადა, 8 ცალ რიგოლი. მეოთხე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელმა გ. სახოკიამ შარშან მოკრიფა 75,6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 48,5 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულის 74 პროცენტი პირველი ხარისხისაა. მესამე ბრიგადის მეექვსე რგოლის ხელმძღვანელმა ა. ყურაშვილმა, რომელიც „ჩა-900“ მანქანაზე მუშაობს. მოკრიფა 75,1 ტონა ნაცვლად 47 ტონისა. კ. ლაშხიამ — 72,8 ტონა, გეგმა კი 48,6 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. „ჩა-900“ მანქანებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ რ. ხასიას, მ. კაციას და სხვებს. მათ მექანიზებული კრეფის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

მეურნეობაში შარშან მუშაობდა 28 „ჩა-900“ და 20 „საქართველო“. მექანიზატორთა წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ მანქანებით ჩაის კრეფის დაკალებანი საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული. სულ მეურნეობაში მოკრეფილი ნედლეულის 58,8 პროცენტი მანქანებით მოიკრიფა. „ჩა-900“-ის მაღალ წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ შარშან თვითეულმა მანქანამ საშუალოდ 57,1 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მათმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მომავალში უფრო მეტის მიღწევა შეიძლება. მაგრამ მექანიზატორები, სპეციალისტები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ შარშან „ჩა-900“ ვერ მიიღეს იმ ოდენობით, რაც დაგეგმილი იყო და წელსაც ამ მანქანებზე მეურნეობის კოლექტივს მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ. ამ მანქანების გამოშვება კვლავ პიანურდება.

წარმატების ბედს წყვეტენ მთელი კოლექტივი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, თვითეული მუშა, მექანიზატორი. სპეციალისტი (მეურნეობის დირექტორი ა. კვარაცხელია, პარტკომის მდივანი პ. ყურაშვილი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მიქავა, მთავარი აგრონომი ა. მანნა, მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი გ. მანნა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. დარსალია, მთავარი ეკონომისტი პ. სორდია).

მათი ნაყოფიერი შრომის შედეგია, რომ დროულად, მაღალხარისხოვნად სრულდება აგროტექნიკური კომპლექსის მოთხოვნები (ჩაის პლანტაციის მოვლა-დამუშავება, ბუჩქების გასხვლა, დამუშავება, სასუქების შეტანა, კრეფის წესების მტკიცედ დაცვა და სხვ.).

ახალი რეზერვების ძიება, არსებული მესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, ყოველივე ახალს, პროგრესულს, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გაბედულად დანერგვა წარმოებაში! აი რამ უზრუნველყო ამ მეურნეობის წინსვლა, გამარჯვება.

მაინც რა ტექნიკური სიახლეებია დანერგილი და პერსპექტივაში კიდევ რა არის გათვალისწინებული? ამის თაობაზე პასუხს იძლევა შემდეგი მონაცემები: აქ კარგახანია გადაკეთეს ჩაის შპალერული სასხლავი აპარატი. იგი გათვალისწინებულია ბუჩქების შპალერის გვერდების გასხვლისათვის. ეს მუშებს მძიმე შრომისაგან ათავისუფლებს, საათში ცვლის 10-15 მუშას. ამავე დროს კარგი შესრულებული ტექნოლოგიური პროცესი.

დამუშავდა და დამზადდა დრენაჟზე შპალერული გასხვლისათვის მუშა-მოდელი. ამ აპარატით ყოველწლიურად ისხვლება 28 ჰექტარი პლანტაცია. მოჭმედებაშია როტაციული სასხლავი აპარატი (დისკოებიანი), რომელიც დამონტაჟებულია „ტ-16“ ტრაქტორზე. მისი დანიშნულებაა: შპალერული გასხვლის შემდეგ ბუჩქების გვერდების გასხვლა-გაფორმება, საჭიროებისაგან მოსამზადებელი ბუჩქების გვერდების ჭრა (ეს მაშინ, როცა რიგთაშორისები ღარ ჩანს, ბუჩქები ერთმანეთშია გადახლართული).

ეს აპარატი ორიგინალურია სერიულ აპარატთან შედარებით. მჭრელი ორგანოები ნაცვლად გადატანითი — უკუქცევითი მოძრაობისა, — როტაციულია და დაკიდებულია თვითმავალი შასის წინ. ეს ხელს უწყობს ბუჩქებში ტრაქტორის მოძრაობას. არის კიდევ „ტ-16“ ტრაქტორზე დასაკიდებელი სათიბელა, რომელიც საათში ცვლის 5-8 კაცს შრომას.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ჩვენმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ, რომლებიც იბრძვიან გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, უნდა ჩაებარონ კიდევ ერთი გამოცდა — იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა.

ახლა მთავარი ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, სახოგადოებრივი წარმოების დიდი ეფექტიანობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წარმატება. ეს მეტად სერიოზულ ამოცანებს აკისრებს მეურნეობის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

სწორედ აქეთკენ არის მიმართული მეურნეობის პარტიული კომიტეტის მუშაობა. მეურნეობაში 102 კომუნისტია. კომუნისტები წარმოების გადამწყვეტ უბნებზე — მატეოალური დოლეთის შექმნის ობიექტებში მუშაობენ. 14 მექანიზატორი კომუნისტია, 38 კი ფიზიკურად შრომობს, 12 კომუნისტი ბრიგადირია, 6 კომუნისტი აგროგანყოფილებათა მმართველ-აგრონომია. სეიოიზულ მუშაობას ეწევა 8 საუბნო პირველადი პარტიული ორგანიზაცია და 4 პარტიული ჯგუფი.

მეურნეობის დიდ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს კომუნისტებმა — მანანა მიქავამ, ალ. ბიგვავამ, კ. შელიამ, მატონა მიტროფანოვამ, კატო მესხიამ, რაისა ოკუჯავამ, ოლგა ნიკიფოროვამ და სხვებმა. თვითეულმა შარშან 6-12 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. კომუნისტი რაისა ოკუჯავას გამოცდილება ყველას კუთვნილება ხდება. იგი პირადად ყოველწაირად ეხმარება ახალგაზდა მუშებს. მან შარშან პლანტაციის მოვლისა და ჩაის კრეფის ხერხები, მეთოდები შეასწავლა ექვს ახალმოსულ მუშას.

საყოველთაო ქება დაიმსახურეს კომუნისტმა მექანიზატორებმა რ. შანავამ, ვ. გულორდავამ, რ. ხასიამ, კ. კვარაცხელიამ, ჯ. ხარჩილავამ, ა. ყურაშვილმა, გ. სახოკიამ, კ. ლაშხიამ და მრავალმა სხვამ. თვითეულის ანგარიშზეა 60-76 ტონა მოკრეფილი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები გ. ჯოლოხავა, ბ. ასთია, შ. კვარაცხელია, ე. შალამბერიძე, ზ. ზარქუა, მ. ხარამიშვილი, ა. შენგელია და ა. ბოლაშხია ხელმძღვანელობენ. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეს მესამე, მეოთხე და მეხუთე კომპლექსურ-მექანიზებულმა ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები რ. ხარჩილავა, ნ. კვარაცხელია და მ. სამუშია ხელმძღვანელობენ.

ქების ღირსია მესამე მექანიზებული ბრიგადა, რომელმაც მოკრიფა 455,5 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 362 ტონისა და საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 7.346 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ამ ბრიგადაში 5 მექანიზატორი კომუნისტია, 2 კი კომკავშირელი.

პარტიული კომიტეტი იდეოლოგიური მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს. პრაქტიკაში დაინერგილია ლექტორებზე, პროპაგანდისტებზე, აგიტატორებზე, პოლიტინფორმატორებზე, პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელზე, წესრიგის დაცვის სახალხო რაზმელებზე, რადიომაუწყებლობაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე ყოველდღიური დახმარება, კონტროლი, შესრულების შემოწმება.

საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი ეკონომიური განათლების საშუალო და დაბალ რგოლებში გაერთიანებულია 130 ამხანაგი, სახალხო უნივერსიტეტში 156 მუშა და სპეციალისტი სწავლობს.

ამ წარმატებათა ფონზე გულსატკენია, რომ წლების მანძილზე ვერ მოხერხდა უვარგისი, შეუფერებელი კლების ნაცვლად კულტსახლისა და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. ძველი ბინებიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. ამის საშუალება ნამდვილად აქვს მეურნეობას. აქ ყველაფერი გამარჯვებული, შესანიშნავი, გამრჯე კოლექტივის შესაფერისი უნდა იყოს.

ახლა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელოვანი კოლექტივი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ზღვედების ასაღებად შრომობს. მათი ეს შრომა მეათე ხუთწლედის ანგარიშში ჩაითვლება, რადგან მეურნეობას ხუთწლედი ოთხ წელიწადში აქვს შესრულებული. ეს შეჭარა-მეურნეობა გზას უნათებს წალენჯიხელ მშრომელთა შემართებას ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



ასე იზრდება ჩაის მოსავლიანობა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ტონობით).

ნოვატორი მეჩაიე

სახელოვანი მეჩაიე ციალა ნოდია მონაწილეობას იღებდა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში. რესპუბლიკის მეჩაიეთა შორის უკვე ცნობილმა ადამიანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შარშან 0,7 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა 14.172 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

ადრინდელ წლებში ციალა ნოდიას ღირსეული მასწავლებლები იყვნენ უშაფთელი ვალენტინა შერიზია და სოფელ ზანის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ტყებუჩავა. თვითეული 12-14 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდა.

ახლა ტრადიციის სადავე ხელთ უპყრია ნოვატორ ფოცხოელს. ახლა მის მაგალითზე ბევრი იზრდება და შრომის სიმამაცეს იჩენს.

ციალა ნოდია მარტო თვითონ კი არ შრომობს ნაყოფიერად, არამედ ცდილობს სხვებიც გაიყოლიოს. ბევრი ადამიანი სოფელში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მან იცის, რომ საზოგადოების საკეთილდღეო შრომა თვითეული საბჭოთა ადამიანის წმიდა მოვალეობაა.

ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას გასულ წელს გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს ნამდვილად დიდი წარმატება და ფოცხოელთა შრომის მაღალი შეფასებაა. ამ წარმატებაში თვალსაჩინო წელილი შეიტანა ციალა ნოდიამ.

ნოვატორი მეჩაიე დიდი შთაბეჭდილებებით ჩამოვიდა თბილისიდან. მან თანასოფლელებს უამბრ აქტივის კრების გადაწყვეტილებებზე და ახალ ამოცანებზე, რომლებიც სასახელოდ უნდა შესრულდეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

„მინმოუსელელის მაგვარადაც“, ასე შეერქვა მოძრაობას, რომელიც საბჭოთა ადამიანების სულის წიაღიდან წარმოიშვა. ობში ძირითადად ახალგაზრდობა დაიღუნა.

ციალა ნოდიამ გადაწყვიტა არა მარტო ერთი, არამედ ორი შინმოუსელელის მაგვარად იშრომოს და ამით უკვდავყოს მათი სახელები. მისი დევიზია: წელს მოკრიფოს 15 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც ახალი რეკორდიც იქნება. ამ პირობა დადო ხელი შეუწყოს ახალგაზრდობას „70-იანი წლების სტახანოველის“ სახელის მოპოვებაში. ამრავლოს იმათი რიცხვი, ვინც 10 ტონა ჩაისათვის იბრძვის...

საკავშირო დროშის მონიჭებამ კიდევ უფრო გააბალისა სოფლის მშრომელები, ახალ დონეზე აიყვანა მთელი საქმიანობა. ასეთი მაღალი ჯილდო დაძაბული შრომით არის მოპოვებული. ფოცხოელები წელს უფრო ენერგიულად იშრომებენ და სახელმწიფოს მისცემენ 670 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად ნაგემით გათვალისწინებული 545 ტონისა.

აპრილის პირველი დღეებიდანვე ნოვატორი მეჩაიე თავის ნაკვეთში ტრიალებს. უკვე დაამთავრა ბუჩქების გასხვლა, სასუქების შეტანა. მალე პლანტაციას გამოკვებავს აზოტოვანი სასუქით.

ციალა ნოდია პლანტაციაშია. მისთვის ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი. მას არ სჩვევია სიტყვის გატეხა.

გ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩაი მთის ფერდობზე

სოფელ ხალას კოლმეურნეობის პლანტაციები მთის ფერდობებზეა გადაშლილი. წლების განმავლობაში ჩვენი კოლმეურნეობა ჩამორჩებოდა, ჩაის ფოთლის ძალიან დაბალ მოსავალს კიღებდით. ამ მდგომარეობამ დაგვფიქრა. პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად შევისწავლეთ ჩამორჩენის მიზეზები. გამოირკვა, რომ აოსებული რეზერვები გამოყენებული არ იყო, დაბალი იყო შრომის დისციპლინა და ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ერთობლივი ღონისძიებებით მდგომარეობა თახდათან გამოსწორდა. შარშან გეგმით გათვალისწინებული 322 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 401,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და მარტო 1974 წელს ჩაის ნედლეულის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 368 კილოგრამით გაიზარდა.

წლეულს დროულად, აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, კულტივაციისა და სასუქების შეტანის საუშაოები. ეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ხალელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს მოკრიფონ 390 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, როცა გაეცნენ ძოწოდებას — ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით 120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების შესახებ, კიდევ იკისრეს 40 ტონის მოკრეფა. სულ მოკრეფეთ 430 ტონას.

ხალელი მეჩაიეები სიტყვას საქმედ აქცევენ.

ზ. ვასაძე,
ქობულეთის რაიონის სოფელ ხალას კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გამარჯვებული კოლმეურნეობა

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წლის დაკალებათა წარმატებით შესრულებისა და საკავშირო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ხელვაჩაურის რაიონის ყიასლის ტელმახის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან კოლმეურნეობას მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. აბაშიძე) 400 ჰექტარი მიწა აქვს, კაცმა რომ თქვას, ეს არც ცოტა ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ მცირე ფართობზე აღებულ მოსავალს სასწაულს ეძახიან. საშუალოდ ჰექტარზე 6.530 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღეს.

წინსვლელია გამარჯვება შემთხვევითი არ არის. მკლავმოუღლელმა მშრომელებმა გარეგოს სახე შეუცვალეს. მათი სოფელი ედგმის ბალს დაკმსგავსეს, ხავთარ-ზაფხულ მწვანეშია ჩაფლული.

დიდი ჯილდოს პასუხად წინსვლელებმა გადაწყვიტეს წლეულს მოკრიფონ 925 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმის გადამეტებით მიიღონ 300 ათასი მანეთი შემოსავალი, 4 პროცენტით გაზარდონ რენტაბელობა.

შრომითი ტრადიციების მქონე წინსვლელები წარმატებით შესრულებენ აღებულ გალდებულებას.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბეჯითად ვეძებოთ...

ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა, „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელმა“ ლამარა ჩხაიძემ, თბილისიდან დაბრუნებისთანავე ბრიგადის წევრებს გააცნო რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მიღებული შთაბეჭდილებანი.

— როცა დიადი მეცხრე ხუთწლედის დიდებულ ამოცანებზე იყო ლაპარაკი, — თქვა მან, — მე ჩემს გვერდით მჯდომ ცნობილ მეჩაიეს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრს თამარ ოსეფაშვილს გადავხედე, შემდეგ ვრცელ დარბაზს მოვავლე თვალი და გულში ვთქვი: ხელდამშვენებული მოვსულვართ აქ, ამ დიდებულ კრებაზე მეთქი. ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ შარშან გადაჭარბებით შეგასრულე, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 10 ტონა ჩაის ფოთოლი ჩავბარე წარმოებას.

მეხსიერებიდან არასდროს ამოშლება ის აღმაფრენა, რაც აქტივის კრების მუშაობის დღეებში განვიცადე. კრების მონაწილენი ვეკითხებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით მოპოვებულ წარმატებებზე, ვსახავდით მომავლის გეგმებს.

კრების საპატიო ტრიბუნიდან ავტორიტეტულად ითქვა, რომ წლეულს ისე, როგორც არასდროს, რესპუბლიკის მშრომელებმა თავი უნდა ისახელონ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მიღებით. ყოველი ღონისძიებით უნდა გამოვნახოთ ეკონომიური რეზერვები, ავამოქმედოთ ის ჩავაყენოთ ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში. ჩვენს ბრიგადაში განა არ არის გამოუყენებელი რეზერვები? ბრიგადაზე მიშაგრებული 19 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6 ჰექტარი გაუპიროვნებელია, მას შემოხვევიდან შემოხვევამდე თუ მოკრეფს ვიმეე; ამ ფართობს დამუშავება აკლია, მცირეა მოსავლიანობა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს 6 ჰექტარი პლანტაცია უსვმოსავლიანი გაკხადოთ. ამით რამდენიმე ათეული ტონა „მწვანე ოქრო“ შეეკემატება.

მე ამ ჩაის ბუჩქებთან ერთად გავიზარდე, ამ ხავერდოვანმა ბუჩქებმა დამავიწყა ობლობა და სიღარიბე. მამაჩემის სახე არც კი მახსოვს, როცა სამამულო ომში გაუწევიათ, 12 დღისა დავრჩენილვარ, დედაჩემისთვის უოქვამს ფრონტზე მიმავალს: „ბიჭი ყოფილიყო, ხომ კარგი. მარა ვული არ გაიტეხო, კარგი ცოცა 5 ცუდ ბიჭს ჯობიან“.

ომი დამთავრდა, მამა ღარ დაბრუნებულა. ჩაის ბუჩქის სიმაღლე არც კი ვიყავი, როცა ფოთლის კრეფა დავიწყე. ასე შევეზარდე ჩაის პლანტაციებს, რომელმაც სასეული და დიდება ბოლტანა, უბრალო სოფლელი გოგო გმირი გამხადა, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრად ამირჩიეს.

ამჯერად უკვე აღარ კმარა მოპოვებულ წარმატებებზე ლაპარაკი, ჩვენი ბრძენი პარტია გვაუწყვლის: დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს! წლეულს 8 ტონა „მწვანე ოქრის“ მოვკრეფ, ნაცვლად შარშან დამზადებული 7,5 ტონისა; შეფად ავიყკან რამდენიმე ასალგაზრდა მკრეფავს, რომლებსაც ისე დავაოსტატებ. რომ წლეულს სარეკორდო მოსავალს მივაღწევინებ. საჭიროა ყველა ვიყოთ მოწინავე, ახლა აღარ კმარა თითო-ოროლა წარჩინებული; ყველას შეუძლია უხვი მოსავალი მიიღოს, ოღონდ მონდომებაა საჭირო. კარგად არის ნათქვამი, თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებსო

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გამოცდილება

ზეგვისწავლოთ, დავნერგოთ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის, ზუგდიდის რაიონის ონარიის საბჭოთა მეურნეობის, ცხაკაიას რაიონის ფოცხოს კოლმეურნეობისა და ქობულეთის რაიონის ხალას კოლმეურნეობის მეჩაიეთა და მექანიზატორთა მუშაობის მეთოდები.



ქუთაისი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

მწყობრში დგება ახალი ფაბრიკა

ბალე სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური შუშაკები იზეიმებენ ახალი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრებას. შაუმიანის ქუჩაზე, ფაბრიკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, აქ სამკერვალო ნაწარმის გამოშვება 70 პროცენტით გაიზრდება.

შვიდსართულიანი ტურისტული სასტუმრო

ბალე ტურისტულ მოგზაურებს მიიღებს ახალი შვიდსართულიანი სასტუმრო „ხვამლი“, რომლის პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრდა ლესელიძის ქუჩაზე. ახალი სასტუმროს პირველ სართულში მოთავსებულია რესტორანი. დანარჩენი სართულები უკავია საძინებელ ოთახებს.

ახალი სასტუროს მეორე რიგის შენებლობა მომავალ წელს გაგრძელდება.

მიეძღვნა გამარჯვების 30-ე წლისთავს

დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გამართული მოსწავლეთა საქალაქო კონფერენცია — „ქუთაისელები დიდ სამამულო ომში“. კონფერენციის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგა მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე თ. მორნაძე, თანამოსწავლეები გამოვიდნენ მოსწავლეები მ. ყაველაშვილი (მე-4 საშუალო სკოლა), მ. გიორგაძე (პიონეიი საშუალო სკოლა), მ. ლაშხი (მე-13 საშუალო სკოლა), გ. ჩხობაძე (25-ე საშუალო სკოლა) და სხვები.

მოსწავლეთა საქალაქო კონფერენციაში მონაწილეობდნენ ომის ვეტერანები.

ტრაქტორმშენებელთა ახალმოსახლეობა

ახლახან ტრაქტორმშენებელთა კიდევ ორმოცდაეუთმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. საეკსპლოატაციოდ გადაეცა 45-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ახალგაზრდობის პროსპექტზე. გაზაფხულის ამ დღეებში ახალი ბინები მიიღეს ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ოსტატმა ზ. ჯანაშიამ, ზეინკალმა შ. მგალობლიშვილმა, დამლაგებელმა ა. კესოვამ და სხვებმა.

შეხვედრა თერჯოლელებთან

ამ დღეებში ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს. რაიონის მშრომელთა მიღწევებსა და მომავალ ამოცანებზე დამსწრეთ ესაუბრა პარტიის რაიკომის მდივანი ე. ქოჩიაშვილი, სტუმრებს მიესალმნენ დოცენტი ს. არველაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. პირველი, ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დრეკტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. მაღლაფერიძე, ექიმები ვ. გიორგაძე, ი. ფიჩხაძე და სხვები. შეხვედრაზე მეცხოველეობის მოწინავე მუშაკებს საჩუქრად გადასცეს მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ რაიონის მშრომელთა სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

ტექნიკის სახლში

ე ლ ე ქ ტ რ ო მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე ნ ებ ელი ქარხნის წინ, შავჩენაოს ქუჩაზე გაიხსნა ტექნიკის სახლი ორი კეთილმოწყობილი დარბაზით, ცხრა ოთახით სექციური მუშაობისათვის, ხუთი ლაბორატორიით. აქვე მოთავსებულია ტექნიკური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა. გათვალისწინებულია მოეწყოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი გამოფენა, მრეწველობის მუშაკებს სისტემატიურად აჩვენონ კინოფილმები ტექნიკის განვითარების საკითხებზე.

ტექნიკის სახლის დირექტორია საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე.

თოჯინების თეატრის პრემიერა

თოჯინების სახელმწ ი ფ ო თეატრმა ნორჩ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ორნაწილიანი სპექტაკლი „მხიარული ზღაპრები“. რომელიც დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, თოჯინების თეატრების საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა შ. ცუცქირიძემ.

თეატრის მსახიობებმა თ. ჭელიძემ, ა. ფანცხავამ, მ. ჯინჯველაშვილმა, ლ. ნესოშვილმა, ე. თოდუამ, ნ. რეხვიაშვილმა, ლ. ხინგავამ და სხვებმა მაყურებელს ჯერ ე. სპერანსკის „უჩვეულო შეჯიბრი“ წარმოუდგინეს ხოლო შემდეგ — მიხალკოვის „სამი გოგი“.

დ. გედენიძე.

• • •

ქუთაისი დღეს. სურათზე: აი ასეთი ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით დამშვენდა ბუხაიძის, ავტოქარხნისა და გორის ქუჩები.

ბ. მაღლაფერიძის ფოტო.

ამ მრისხანე დღეთა გახსენება

ომგადახდილი დონორები

საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში მოეწყო საზეიმო შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერან მედმუშაკებთან და ამ პერიოდის დონორებთან.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ომისდროინდელი დონორები, დამსახურებული ექიმები, სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი — ლუდმილა უბერი, რაისა გურაშვილი, ლიდა თვალაბეიშვილი, მალვა გურაშვილი, დონორები ლუბა ჩიქობავა, თამარ ჩაჩანიძე, საქართველოში დონორთა კადრების დაკომპლექტების პიონერი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე თამარ ყვანია, რაისა ოდიკაძე და სხვები.

— ყველაზე მეტი დონორი, —აღნიშნა რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა ვ. ჩხაიძემ, —რსფსრ-ის შემდეგ საქართველოს ჰყავდა. ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღეს ფირნლებმა და ექიმებმა.

საინტერესო ფრონტული მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის გმირი ე. გეგნაია, რომელსაც 29 წლის შემდეგ მიენიჭა ეს სპატარი ზღვდა, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ევგენია ჩხიკვიშვილი, დონორები ვალენტინა პოლეზჩუკი, ნინო ქორფაშვილი და სხვები.

ქ. ბაბალუა.

ნათელი ხსოვნა

ახალციხე. (საკ. კორ) სოფელ აწყურიდან დიდ სამამულო ომში 200-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა, მათგან ნახევარზე მეტი ვეღარ დაბრუნდა შინ.

სასოფლო კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან, რომელიც შესავალი სტატეთი გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გაგაშელმა.

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს შინმოუსვლელთა ნათელ ხსოვნას. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავისათვის მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქეთევან კაპანაძემ.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ომის ვეტერანები.

შეხვედრა

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცდაათი წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთვის სამუშაო სკოლამ, კოლმეურნეობამ და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა განყოფილებამ შეხვედრა მოუწყეს სამამულო ომის ვეტერანებს. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ გადამდგარი პოლკოვნიკი ა. ბეჯელიძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ე. ინაიშვილი და სხვები — სამამულო ომის მონაწილენი, სოფლის ყველა მკვიდრი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები.

შ. რომანიძე.

„ფიშერი არ იყო მზად...“

ლაპარაკობს მსოფლიოს ახალი ჩემპიონი

„საბჭოთა მოჭადრაკეებს დიდი დღე დაუდგათ: ჭადრაკის გვირგვინი კვლავ ჩვენს ქვეყანაში დაბრუნდა“. ეს სიტყვები ეკუთვნის ანატოლი კარპოვს, რომელსაც 3 აპრილს მსოფლიოს ჩემპიონად მისი გამოცხადების შემდეგ ესაუბრა საკადესის კორესპონდენტი ი. ხრომოვი.

კარპოვმა ხაზი გაუსვა, რომ გულმოდგინეთ და მთელი მონდომებით ემზადებოდა რობერტ ფიშერთან მატჩისათვის. „სამწუხაროდ, ამერიკელმა დიდოსტატმა, — თქვა მან, — ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით უარი თქვა თავისი წოდების დაცვაზე. ძალიან მინდოდა, რომ ეს მატჩი შემდგარიყო და მიმაჩნია, რომ ყოველივე შესაძლებელი გავაკეთე ამისათვის“.

ამავე დროს მსოფლიოს ჩემპიონმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ფიშერი არ იყო ნზად ამ მატჩისათვის. „საჭადრაკო სამყაროს, — განაგრძო ანატოლი კარპოვმა, — სამი წელიწადია არ უნახავს ფიშერი. შესაძლოა, როგორც ამტკიცებენ, მაგალითად, ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელი ედმონსონი, რობერტ ფიშერმა შეინარჩუნა თავისი ფორმა, მაგრამ ამის გარანტია არ არის. მსოფლიოს ყოველმა ჩემპიონმა ხომ სამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა. ჩემი აზრით, ფიშერი ეძებდა საბაბს, რომ უარი ეთქვა ამ შეხვედრაზე“.

„ჩრტულის მოპოვების შემდეგ ჭადრაკზე როდი ავიდან ხელს, — თქვა დასასრულ მსოფლიოს ჩემპიონმა. — განზრახული მაქვს ხშირად გამოვიდე შეჯიბრებებში და უკვე უახლოეს დროში დავამტკიცებ ამას“.

„ფიშერის წარმატების შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული, — თქვა ბუენოს-აირესში არგენტინელმა დიდოსტატმა მიგელ ნაიდორფმა. — მისი უარი იმას ნიშნავს, რომ იგი ფრიად არალოგიკურია. თუმცა ფიშერი ძალიან ძლიერი მოჭადრაკეა. მაგრამ ეფიქრობ, რომც მიეღოთ მისი პირობა, რომლის მიხედვით 9:9 ანგარიშის დროს იგი მსოფლიოს ჩემპიონი დარჩებოდა, ფიშერი ძაინც იძოკიდა საბაბს იმისათვის, რომ არ ეთამაშა“.

„კარპოვს თამაშის თავისი სტილი აქვს, — განაცხადა ნაიდორფმა, — და შეუძლია სრულყოს ეს სტილი. იგი აძლევად მართლაც ყველაზე ლირსეულია, რომ ძსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ატაროს“.

„ანატოლი კარპოვმა მართლაც ყველაფერი იღონა, რათა მისი შეჯიბრი ჭადრაკის დაფაზე ფიშერთან შეიდგარიყო. ახლა იგი აბსოლუტურად დამსახურებულად გამოცხადდა მსოფლიოს ჩემპიონად. და ეს სწორედ ისეთი ჩემპიონია, როგორიც ჭადრაკის სამყაროს დაუსრულებელი დავისა და ეჭვების შემდეგ ყველაზე უფრო სურდა ჰყოლოდა“, — წერს პრადის გაზეთი „რუდე პრავო“.

„მაგრამ მწვავე კრიტიკის ღირსია უიდე და განსაკუთრებით ძისი პრეზიდენტი, — განაგრძობს გაზეთი. — მას რომ დროზე გამოეჩინა თანამიმდევრობა და სიმტკიცე, ამდენი დავიდარაბა არ იქნებოდა.

ანატოლი კარპოვი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონია ჭადრაკის მთელი ისტორიის მანძილზე, აღნიშნავს ბეეიცარიის გაზეთი „სიუისი“ კომენტარში, რომელიც ეძღვნება საბჭოთა მოჭადრაკისათვის მაღალი ტტულის მინიჭებას. გაზეთი აქვეყნებს ახალი მსოფლიოს ჩემპიონის ბიოგრაფიას, აღნიშნავს, რომ მისი უწინდელი გამარჯვებები ცხადყოფენ მოჭადრაკის უდიდეს ნიჭს.

გაზეთი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ფიშერმა უარი თქვა ა. კარპოვთან შეხვედრაზე. „მით უმეტეს, — წერს „სიუისი“, — რომ ზოგიერთი გამარჯვებას უქადდა ამერიკელს. მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ ფიშერმა პრაქტიკულად დამტკიცოს ეს“. გაზეთი დასძენს: „ძნელია რაიმე ითქვას ამერიკელი დიდოსტატის ახლანდელ სპორტულ ფორმაზე, რომელსაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არც ერთი ოფიციალური პარტია არ უთამაშია“.

(საკუბსი).

ჰოკეი

ფავორიტები გამარჯვებით იწყებენ

გუშინწინ მიუნხენში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში.

შეჯიბრების ფავორიტებმა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გუნდებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. ჩვენმა ნაკრებმა ანგარიშით 10:5 დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს პოლონელებს — 5:0.

დღეს საბჭოთა ნაკრები შეხვდება ფინეთის გუნდს, ხოლო ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები — შვედებს.

„ყველაფერი სავსებით სამართლიანია!“

მსოფლიოს ცნობილი მოჭადრაკეები იწონებენ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომელმაც ანატოლი კარპოვი მსოფლიოს ჩემპიონად გამოაცხადა. ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ მის ოსტატობას, მის წარმატებებს საერთაშორისო შეჯიბრებებში. დიდოსტატები აკრიტიკებენ ფიშერის საქციელს, რომელმაც თავისი მეტისმეტი მოთხოვნებით, ჭირვეულობით არსებითად ჩაშალა 1975 წლის მატჩი მსოფლიოს პირველობაზე.

„მიმაჩნია, რომ ფიშერის გადაწყვეტილებამ — არ ეთამაშა მატჩი კარპოვთან — უფინარეს ყოველისა თვითონ მას ავნო, — განუცხადა ნიუიორკში საკადესის კორესპონდენტს ამერიკელმა დიდოსტატმა რობერტ ბირნმა. — ყველა უდიდესი ინტერესით მოელოდა ამ მატჩს. ანატოლი კარპოვმა შეუძლია ბრძოლაში დაამტკიცა თავისი უფლება გამხდარიყო პირველი პრეტენდენტი. და აი, ახლა ფიშერის უარმა ჩემპიონად გახადა საბჭოთა დიდოსტატი. აქ არ არის რაიმე დარღვევა, ყველაფერი სავსებით სამართლიანია“.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ფიშერი არ დათანხმდა კომპრომისს, — თქვა მეორე ამერიკელმა მოჭადრაკემ ენტონი საიდმ. — ანატოლი კარპოვი ძალიან ძლიერი და გამჭრახი მოჭადრაკეა. მას შეეხვედრივარ და საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე“.

ამერიკული საჭადრაკო ჟურნალის „ჩეს ლაიფ ენდ რევიუს“ რედაქტორმა გერტ ჰოგბერგმა ფიშერის უარს უწოდა „აუნაზღაურებელი დანაკლისი უწინარეს ყოველისა მისთვის“. მან აღნიშნა, რომ ფიშერ-კარპოვის მატჩს მთელი მსოფლიო დიდი ინტერესით მოელოდა.

საკადესის კორესპონდენტმა სცადა მოეძებნა ფიშერი ამერიკელი დიდოსტატების დახმარებით, რომლებიც კალიფორნიაში ცხოვრობენ, მაგრამ იგი, როგორც მას ხშირად მოსდის, გაქრა. იგი არ არის არც ბრუკლინში, ნიუ-იორკის რაიონში, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობენ, მაგრამ თუ დავუჯერებთ ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის ადმასრულებელ დირექტორს ჯ. ედმონდსონს, ფიშერი კარგად და ჯანმრთელადაა, ვინაიდან ამ რამდენიმე დღის წინათ ელაპარაკა მას კალიფორნიაში.

„ბობის არაფერი უშავს“, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს ვ. ბაიდამინს ტელეფონით კალიფორნიიდან ენტონი საიდმ. — ოღონდ ეგაა, რომ ყველას გაურბის“.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ვ. გაგაკიანის ფოტო — „სალამო ზღვაზე“.

კალათბურთელთა შეჯიბრება

3 აპრილს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო ტურნირი საქართველოს უძლიერეს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილეობენ თბილისის ოთხ-ოთხი კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივები, ბერეთი სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთაველის, წულუკიძის და სპორტულ სახოგადოებათა ნაკრები გუნდები.

კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 72:55 დაამარცხა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა მოუგეს ბათუმის ნაკრებს — 78:54, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა — „შრომითი რეზერვების“ გუნდს — 79:29.

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში ბათუმელებმა დიდი სხვაობით მოუგეს წყალტუბოს წარმომადგენლებს — 87:40. წარმატება ხვდა წილად თბილისის უნივერსიტეტის გუნდს სოხუმის ნაკრებთან შეხვედრაში 91:71.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა დაამარცხეს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კალათბურთელები — —91:87.

ყველაზე დაძაბული და საინტერესო იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის შეხვედრა ქუთაისის ნაკრებთან. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს სტუდენტებმა 6 ქულის უპირატესობით — 42:36. შესვენების შემდეგ ანგარიშის სხვაობა შემცირდა და ფინალში ტაბლომ უჩვენა მინიმალური სხვაობა სტუდენტთა სასარგებლოდ— 82:81. (საქინფორმი).

რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა პრაღაში ანგარიშით 72:56 (39:21) მოუგო მეორე ფინალური მატჩი ადგილობრივ „სპარტაკს“ და **მეთხუთმეტედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.** ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იგი ულიანა სემიონოვა — 26 ქულა.

ქუჩელი წყალბურთელები თბილისში

კუბის ნაკრების წყალბურთელები, რომლებიც შედიან მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივთა ექვსეულში, სტუმრად არიან თბილისში. აქ ისინი გამართავენ ორ მატჩს თბილისელ დინამოელებთან. პირველი მატჩი თბილისის საცურაო აუზში გაიმართება 5 აპრილს, მეორე — 7 აპრილს.

კუბელ წყალბურთელებთან შეხვედრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ქართველ სპორტსმენთა მომზადების ერთ-ერთი ეტაპია. როგორც ცნობილია, წყალბურთელთა შეჯიბრება იწყება მოსკოვში 5 მაისს.



ო. გ. საბაშვილი

ერთგული ბიბლიოთეკარი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვის“ მმართველი, 1952 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი.** ო. საბაშვილი დაიბადა 1926 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

ო. საბაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და ენერგია ქვეყნისა და ხალხის სამსახურს მოახმარა. იგი მუშაობდა საქართველოს აღკკ საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად, მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1964 წლიდან 1973 წლამდე — საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად. 1973 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კ. ... საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს „საქკონსერვის“ მმართველად.

ო. საბაშვილი არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად, საქართველოს კპ საგარეჯოს რაიონის ბიუროს წევრად, საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს დეპუტატად, 1963 წლიდან იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოწვევის დეპუტატი.

ყველა თანამდებობაზე, სადაც კი მუშაობდა, ო. საბაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა, პრინციპულმა ხელმძღვანელმა.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მისი დამსახურება ხალხის წინაშე — დაჯილდებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ო. საბაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს, კავშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვი“.

ო. გ. საბაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1975 წლის 5, 6, და 7 აპრილს საღამოს 7 საათზე გვანცელაძის ბინაში — ოქტომბრის ქუჩა № 107. გამოსვენება 8 აპრილს, დღის 4 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სხვა გაზეთებიდან

გადაარჩინეს...

ზმინდა ლავრენტის სრუტეში მოულოდნელად ცვცხლი გაუჩნდა საბერძნეთის ხომალდ „ამვოურგონს“. საგანგაშო სიგნალების მიღებისთანავე ზაგი ზღვის სანაოსნოს თბომავალ „ბრიანსკი მაშინოსტროიტელ ი ს“ კაპიტანმა გ. კოკშაროვმა ბრძანება გასცა გეზი შემოხვევის ადგილისაკენ აეღოთ.

საბერძნეთის ხომალდზე იწვოდა მაშვილი ნავები, გემბანის ნაგებობა, ცეცხლსა და კვამლში უაზროდ ირეოდნენ ადამიანები, დაყოვნება სიკვდილს უდრიდა — ყოველ წუთს შეიძლება აფეთქებულიყო საწვავის რეზერვუარი. საბჭოთა მეზღვაურებმა წყალში სწრაფად ჩაუშვეს მოტობოტი, რომელსაც ხუთბალიანმა ლელვამ ხელი ვერ შეუშალა და რამდენიმე ცდის შემდეგ მიადგა გაწირულ გემს. 24 ბერძენი მეზღვაური დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საბჭოთა თბომავალზე, დანარჩენი ექვსი მეზღვაური კანადის ვერტმფრენმა აიყვანა.

ბერძენ მეზღვაურებს მაშინვე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და უახლოეს ნავსადგურში მიიყვანეს. გადარჩენილმა მეზღვაურებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს საბჭოთა გემის ეკიპაჟს. ამას იუწყება გაზეთი „პრავდა უკრაინი“.

კიდევ ერთი პროექტი

ამპასწინად ვენეციის გადასარჩენ პროექტებს კიდევ ერთი პროექტი შეემატა. იგი დაამუშავეს რეზინის ფირმა „პირელიმ“ და სამშენებლო ფირმა „ფურლანისმა“. პროექტი ითვალისწინებს ზღვის უბისაკენ გაყვანილ სამ არხში რეზინისა და პლასტმასისაგან დამზადებული კაშხალის გაკეთებას. მისი მიზანი იქნება ზღვის დონის აწევის დროს ქალაქისაკენ გზა გადაუკეტოს წყალს. ეს მოძრავი კაშხალები, რომელთა სიგრძე 500-დან 1000 მეტრამდე იქნება, ფოლადის ბაგირებით დამაგრდება არხის ფსკერზე სპეციალურად მოამზადებულ რკინა-ბეტონის ფუნდამენტზე. ნორმალურ ჰიდროლოგიურ და ატმოსფერულ პირობებში კაშხალი ჩაძირული ექნება წყალქვეშ და ხელს არ შეუშლის საზღვაო ტრანსპორტს მიმოსვლას.

საფრთხის მოახლოების პირველი სიგნალისთანავე მძლავრი ტუმბოები წყალს გადაქაჩავენ კაშხალის ცარიელ კორპუსებში. წყლით მაქსიმალურად გავსების შემდეგ კაშხალის ზედა ნაწილი ამოიწევს წყლიდან და შეაჩერებს ტალღების მოძრაობას. როგორც კი ზღვა დაწყნარდება, წყალს ამოქაჩავენ და კაშხალი ისევ არსის ფსკერზე ჩაეშვება.

პროექტის ავტორების აზრით, მათი ჩანაფიქრი ტექნიკურად სავსებით რეალურია. ამასწინათ, — იუწყება პოლონეთის ჟურნალი „ვიდზა ი ჟიცი“, — ერთ-ერთ ასლოს მდებარე უბეში დაიწყეს 70 მეტრიანი ექსპერიმენტული კაშხალის მშენებლობა.

ტანკისტის გმირობა

ტანკიკური სწავლების დროს ტანკების კოლონა დახურული ლუკებით სწრაფი მარშით მიეკანებოდა დანიშნულების ადგილისაკენ. წინ გამოჩნდა პატარა დასახლება. მეთაურ მანქანას მძღოლი-მექანიკოსი სერგეი დიაჩკოვი ეკი მართვდა. უკანასკნელი მოსახვევი.... და მოულოდნელად სწრაფად მიმჭროლავი ტანკის წინ სამი ბავშვი დარჩნდა. დამუხრუჭება უკვე გვიან იყო. მარჯვნივ საცხოვრებელი სახლია, მარცხნივ — კლდოვანი ფერდობი...

... წამიც და მამაცმა ტანკისტმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მთელი სიჩქარით მიმავალი მანქანა ფერდობზე გადაუშვა.

ტანკი რამდენჯერმე გადაბრუნდა და ფერდობის ძირზე დაეცა. ეკიპაჟის წევრები მხოლოდ კოპებით გადარჩნენ, ხოლო სერგეიმ გონება დაკარგა როგორც კი მოიხედა. მისი პირველი კითხვა იყო: „როგორ არიან ბავშვები?“

მოკლე ხანში ს. დიაჩკოვსკი კვლავ დაიკავებს თავის ადგილს ტანკში. ამჟამად კი იგი ჰოსპიტალში წევს და თავზე სწოლოდ იმ ბავშვების მშობლები ადგანან, რომლებიც მან გადაარჩინა... („პრასნაია ზვეზდა“).

„კომუნისტი“

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-33-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03652

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ტელევიზია

ნ ა კ ა რ ი ლ ი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტყის წვიმა“, 11.00 — კინონარკვევი, 11.25 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.55 — „შევისწავლოთ ქართული ენა“, 12.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „პან ვოკის ქორწილები“, 15.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 16.40 — სატელევიზიო ფილმი „ძმობა“ (კიევის სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები), 17.30 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.30 — „ოსტატსაც მართებს ოსტატობა“, 19.50 — საერთაშორისო მიმომხილველები მრგვალ მაგიდასთან, 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეთრი სასლები“, (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინოს სამყაროში“, 23.30 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მიუნხენიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დიადი გამარჯვების 30 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმი „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული“ (IV სერია), 19.10 — „თბილისი და თბილისელები“, 19.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მაღალი წოდება“ ფილმი მერე — „სიცოცხლისათვის დედამიწაზე“, 21.10 — სატელევიზიო ფილმი „ჩვეულებრივი ოთხეული“ და „სამხრეთ ყირგიზეთი“.

რადიო

ნ ა კ ა რ ი ლ ი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტაივარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — „პიონერთა დაფიონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, „კონცერტი-საუბარი „რა უნდა ვიცოდეთ კამერული მუსიკის შესახებ“, 14.00 — რადიოეურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ს. ციხცაძე. საკავშირო ჩელო კონცერტი, 14.45 — დ. გურამიშვილი „დავითიანი“. მხატვრული კითხვა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“, მომმე საბჭოთა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების რადიოძმეულთათვის, 15.30 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის, „გმირი ქალაქები“. კიევი. 15.45 — მსუბუქი მუსიკა. 16.15 — რადიოეურნალი საბჭოთა არმიის ჟურნალებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“ 17.15 — მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „ამბავი ნაქდვილი ადამიანისა“ (ნაწილი პ